

მოსწავლის



ბიბლიოთეკა

ბურამ პეტრიაშვილი

ელისა და რარუს თავგადასავალი



ილუსტრატორი ნანა მელქაძე



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ვუძღვნი ჩემს ქალიშვილებს,
ოლიკოსა და ირინეს.

დილა იყო.

ელის მამა – იონა მაგიდას მისჯდომოდა და რალაც მექანიზმებიან პატარა ყუთს ჩაჰკირკიტებდა. ყუთი რეზინის მოკლე მილით უკავშირდებოდა დაჩუტულ საჰაერო ბურთს, რომელიც იმხელა იყო, რომ მაგიდაზე არ ეტეოდა, იატაკზე დაფენილიყო და თითქმის მთელი ოთახი დაეკავებინა.

თუ კარგად დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ საჰაერო ბურთი სპილოს ჰგავდა მოხაზულობით.

მაგიდაზე ნახაზები იყო გაშლილი. იონა ხანდახან ნახაზს დახედავდა და კვლავ მექანიზმებს მიუბრუნდებოდა.

დიდ სავარძელში კოხტად მოკალათებულიყო ექვსი წლის გოგონა ელი. ელის კაუჩუკის ყურსაცმები რადისტვიტით გაეკეთებინა და რალაცას უსმენდა. ყურსაცმები ჩვეულებრივზე ბევრად დიდები იყო. მათ შემაერთებელ სალტეს კი, რომელიც ელის შარავანდედვიტით ედგა თავზე, პრიალა ლითონის სამი ჩხირი ჰქონდა ამოშვერილი: ერთი შუაში, ორიც აქეთ-იქით. და ყველაფერი ეს ელის ამგვანებდა უცხო პლანეტიდან მოსულ პატარა არსებას, უცნაურს, მაგრამ ლამაზს.

– მამიკო, შენც გინდა მოუსმინო ნაიანას? – ჰკითხა ელიმ იონას.

– რატომაც არა, თუკი მომასმენინებ, – უპასუხა იონამ ისე, რომ თავი არ აუნევიდა.

– კარგი, – გაეცინა ელის და სალტეზე რალაც ღილაკს დაანვა.

გაისმა მუსიკის ხმები: მეტად სასიამოვნოდ მღეროდა ქალი.



უსმენდა სიმღერას მამა-შვილი...

სიმღერა რომ დამთავრდა, ელიმ თვალები გაახილა და ღრმად ამოიოხრა. ღილაკს თითი დააჭირა და აპარატი გამორთო. მერე თავიდან მოიხსნა ყველაფერი, ლითონის ჩხირებს მსუბუქად დაანვა და ერთმანეთის მიყოლებით ისე ჩაკეცა, რომ სალტეზე პატარა კოპებილა დარჩა. მერე კაუჩუკის ყურსაცმები ერთმანეთს შეატყუპა და მთელი მონყობილობა დაემსგავსა ჩანთას, რომელსაც ყურსაცმების შემაერთებელი სალტე სახელურივით ჰქონდა გაკეთებული.

ელი ახლა კედელზე ჩამოკიდებულ დიდ აფიშას შესცქეროდა. აფიშაზე ქალი ეხატა. იგი ცირკის მაღალი გუმბათის ქვეშ ტრაპეციაზე იდგა და, პროფექტორის შუქით განათებული, ილიმებოდა.

– მამიკო, – მიუბრუნდა ელი იონას.

– ჰო, შვილო.

– ნაიანა ხომ ჰგავს დედას?

– მგონი, კი.

– მე მახსოვს, დედასაც ასეთი ხმა ჰქონდა, – უფრო თავისთვის თქვა გოგონამ. იონას პასუხი აღარ გაუცია.

– მამიკო, როდის დაამთავრებ მაგ სპილოს? – უცებ შეცვალა საუბრის თემა ელიმ.

– მალე.

– როდის მალე?

– ამაღამ.

– ამაღამ? მერე, რომ გაიბერება, ზუსტად რარუს დაემგვანება?

– ჰო.

– რა კარგია! – შეითამაშა ელიმ სავარძელში. – მამიკო...

– ჰო, შვილო.

– მამიკო, – გაიმეორა ელიმ. ეტყობა, რაღაც უნდოდა ეთხოვა მამისთვის.

– ჰო, გისმენ.

– ხვალ წამიყვან რარუსთან?

– ბრუნო წაგიყვანს.

– შენ, მამი?

– მე ხვალ ახალი აპარატი უნდა გამოვცადო.

– კლოუნმა ყირამალა დამდგარმა რომ უნდა იაროს ველოსიპედზე, ისა?

– ჰო.

– მე როდის მაჩვენებ?

– შენ როგორ გირჩევნია?

– კარგად რომ ივლის, მაშინ?

– ჰო.

ელიმ ცოტა ხანს ჩუმად უცქირა მამის მუშაობას, მერე ერთი ამოიოხრა, ისე, პატარებმა რომ იციან: დიდებს კი ჰბაძავენ, მაგრამ მათი ოხვრა უფრო იმასა ნიშნავს, რა უცნაური და საინტერესოა სამყაროო.

ელი მეორე ოთახში გავიდა.

ეს ელის და მისი თოთხმეტი წლის ძმის – ბრუნოს ოთახი იყო.

ბრუნო ახლა მაგიდასთან იჯდა და რაღაცას ხატავდა პატარა ფურცელზე.

კედელზე ასეთივე ზომის ნახატები იყო გაკრული. ზოგზე ფოთოლი იყო მინებებული, ზოგზე – ყვავილის ფურცელი, ზოგზე – ბალახის ღერო.

ელიმ ჩუმად უცქირა ძმას, მერე კი ჩუმად უთხრა:

– ბრუნო.

– ჰო, ელი.

- ბრუნო, რატომ ხევ ხოლმე ამ ნახატებს?
- მე ვხატავ და მევე ვხევ, რა, არ შეიძლება?
- არა, როგორ არ შეიძლება, მაგრამ მე არ დავხევედი.
- აბა რას იზამდი?
- ვინმეს ვაჩუქებდი.

ბრუნო მიუბრუნდა და ერთ ხანს გამომცდელად უყურებდა. მერე, რომ დარწმუნდა, ელიმ ეს ისე თქვა, შეფარული აზრის გარეშეო, დას ხელი გადაუსვა თავზე.

ელის ესიამოვნა ძმის მოფერება, მაგრამ მისი ხელი მაინც მოიშორა თავის გაქნევით, ვითომ რაღა დროს ჩემი ფერებაა, უკვე დიდი ვარო.

მივიდა, თაროდან ნახატებიანი წიგნი გადმოიღო, ფანჯარასთან დაჯდა სკამზე და კითხვა დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და კვლავ ბრუნოს მიუბრუნდა.

- იცი, ბრუნო, გუშინ რარუმ რა მითხრა?
 - არ ვიცი, – უპასუხა ხატვაში გართულმა ბრუნომ.
- ელი ბრუნოსთან მივიდა, თავზე დაადგა და შეეკითხა:
- არ გინდა, რომ გითხრა?

ბრუნოს გაეცინა

- როგორ არ მინდა.
- რარუმ მითხრა, ძალიან მენატრება ჩემი ქვეყანაო.

სულ პატარა რომ ვიყავი, დედამ დიდი ჩანჩქერის თავზე ამიყვანა და ახლა ყოველ ღამე ის ჩანჩქერი მესიზმრებო.

- ჰოო, – ხატვა განაგრძო ბრუნომ. – მერე?
- ბრუნო, რომ ვუთხრათ, არ გაუშვებენ რარუს თავის ქვეყანაში? მერე ისევ ჩამოვა. თვითონ თუ არა, სხვები ჩამოვლენ და მორიგეობით დარჩებიან, რომ აქაურმა ბავშვებმა ნახონ.

– უფროსებს შეეშინდებათ, ვაითუ არც ერთ სპილოს აღარ მოუნდეს ჩამოსვლაო.

– არ მოუნდებათ და ნუ მოუნდებათ. ნახატზე ვნახავთ ბოლოს და ბოლოს. თუ რომელიმე ბავშვს ძალიან მოუნდება სპილოს ნახვა, ჩავიდეს იმათთან სტუმრად და იქ ნახოს.

– გეთანხმები, სწორი აზრია, – გაელიმა ბრუნოს.

– მამაც ხომ დამეთანხმება?

– აუცილებლად.

– ნაიანა?

– ის ჰო, მაგრამ სხვა დიდები რას იტყვიან?

– ეჰ, – ამოიოხრა ელიმ. – დიდები...

ერთხანს ჩაფიქრებული იდგა. მერე სამზარეულოდან სამი ვაშლი გამოიტანა. ერთი ვაშლი ბრუნოს მისცა და მამასთან გავიდა.

– მამიკო, ვაშლი გინდა?

– მინდა, – თქვა იონამ, ხელები გაინმინდა და ვაშლი გამოართვა.

ელი სავარძელში მოკალათდა და გემრიელად ჩაკბიჩა ვაშლი.

ცოტა ხნის შემდეგ რალაც გაახსენდა.

– მამიკო, მსხალი რატომ არ მიყვარს?

იონამ შეჰხედა ელის და შუბლი მოჭმუხნა:

– ეგ რთული კითხვაა.

ელის გაეცინა.

– არა, მართლა, მამიკო. აი, ვაშლი მიყვარს, ყურძენიც, ლეღვიც, ნესვიც, და ყველაფერი. მსხალი კი არა.

– რაც არ გიყვარს, ნუ შეჭამ, – იპოვა იონამ გამოსავალი.

– ჰო, მაგრამ რატომ არ მიყვარს?

ელი ადგა და ტელევიზორთან მივიდა.

– ვუყუროთ, კარგი? – თქვა და ჩართო ტელევიზორი.
– იქნებ ნაიანაც გვაჩვენონ, – ისე თქვა მამამ, რომ ელის აგრძნობინა, ვიცი რატომაც რთავ ტელევიზორს: იმედი გაქვს ნაიანას ნახავო.

ელიმ გაიცინა, ჩაჯდა სავარძელში და ეკრანს მიაჩერდა.
ეკრანი ჯერ აციმციმდა, მერე შავმა ხაზებმა დაიწყეს ზედ სიარული.

ბოლოს გამოჩნდა საიუველირო მაღაზიის მინებჩამტკვრელი დახლები და გაისმა დიქტორის ხმა:

– ზარალი აღემატება ნახევარ მილიონს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ქურდები გამოცდილი ხალხია. არსად არაა დატოვებული ხელის ანაბეჭდები...

ეკრანზე გამოჩნდა ნახევრად დაცარიელებული თაროები. – დიქტორი განაგრძობდა: „... წაღებულია საუკეთესო ნახელავი. ეჭვმიტანილნი არიან ისევ ის სამნი, რომლებიც რა ხანია მოუხელთებელნი გახდნენ. რომ შეძლოთ დაგვეხმაროთ მათ დაჭერაში, შეგახსენებთ სამივეს გარეგნობას...“

ეკრანზე გამოჩნდა ფოტო, ზედ ჩანდა სამი კაცი. ისინი ხელიხელგადახვეულები იდგნენ და უტიფრად იყურებოდნენ მაყურებლისაკენ. ერთი მაღალი იყო, მეორე საშუალო ტანის, მაგრამ ჩასუქებული და ლიპიანი, მესამე კი პატარა და გაღეული.

– შეგახსენებთ, თუმცა ისინი პარიკებისა და გრიმის საშუალებით ხშირად იცვლიან სახეს, მაგრამ მათ ცნობას ის აადვილებს, რომ ერთად უყვართ სიარული... – განაგრძობდა ლაპარაკს დიქტორი.

ელიმ რამდენიმე სხვა არხზეც შეამოწმა, რა გადაცემები იყო, მაგრამ რადგანაც არცერთი არ მოეწონა, ტელევი-

ზორი გამორთო და ის იყო წიგნის კითხვას შეუდგა, რომ ტელეფონი ანკრიალდა.

იონამ ყურმილი აიღო.

– გისმენთ.

– გამარჯობა, იონა, ბიკენტი ვარ, – გაისმა ხმა ტელეფონში.

– გამარჯობა, ბიკენტი...

– თუ ძმა ხარ, ელი თუა სახლში.

– კი, აქაა.

– ამნუთას ბატონი დი-დისგან დამირეკეს. სადღაც მიდის და ჩვენს ქალაქში უნდა გამოიაროს თურმე. ერთ საათში ჩემს ზოოპარკს ენვევა. გაუგია, ელი რომ ელაპარაკება სპილოს და უნდა თავისი თვალით ნახოს.

– მერე, შენ ხომ იცი ამისი ამბავი, – უთხრა იონამ.

ელი მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ და წიგნის კითხვას თავი დაანება.

– ვიცი, ვიცი, – თქვა ბიკენტიმ, – აბა დამალაპარაკე, თუ ძმა ხარ.

– ელი, მოდი, ბიძია ბიკენტის ელაპარაკე, – უთხრა იონამ ელის.

ელიმ ყურმილი გამოართვა მამას და მხიარულად ჩასაძახა:

– გამარჯობათ, ბიძია ბიკენტი, როგორ ბრძანდებით?

– თუ სიმართლე გინდა, ვერა ვარ კარგად, ელი.

– რატომ?

– ერთ კაცს უნდა ნახოს, როგორ ელაპარაკები სპილოს. შენ კი, ვიცი, შეკვეთით არ გიყვარს სპილოსთან ლაპარაკი.

– ჰო, არ მიყვარს. თქვენ შეგიძლიათ თქვენს მეგობარს

უთხრათ, მოდი ვილაპარაკოთ, რადგან ვილაც კაცს ჩვენი საუბრის მოსმენა უნდაო? ეს ხომ მეგობრის ისაა...

– შეურაცხყოფა?

– ჰო, ეგა.

– კარგი, რა გაეწყობა, – თქვა ბიკენტიმ ნაღვლიანად.
– ნახვამდის.

– ბიძია ბიკენტი! – შესძახა ელიმ.

– ჰო, ელი, გისმენ.

– რა მოხდება, სპილოს რომ არ დაველაპარაკო?

– მომხსნიან, აღარ ვიქნები ზოოპარკის დირექტორი.

– მოგხსნიან? ამისთვის?

– ჰო, იმ კაცს არ უყვარს, როცა მის სურვილს არ ასრულებენ.

– ცუდია, – თქვა ელიმ და ჩაფიქრდა.

– ჯერ ერთი, ჩემს მაგიერ ჩემს მოადგილეს, კოკას დანიშნავენ, იმას კი ცხოველები არ უყვარს, – თქვა იმედმიცემულმა ბიკენტიმ. – მეორეც, მე მჭირდება, რომ დირექტორი ვიყო.

ელის ყურადღება აღარ მიუქცევია ბიკენტის ბოლო სიტყვებისათვის. რაღაც გადანწყვიტა და უთხრა:

– კარგი, ბიძია ბიკენტი.

– მართლა?... გმადლობ, ელი, გენაცვალე... ათ წუთში მანდ გავჩნდები ჩემი მანქანით. ნაგიყვან და მოგიყვან... აბა, ჯერჯერობით...

ელიმ ყურმილი დადო და მამას შეჰხედა.

მამამ გაუღიმა და თავი დაუქნია, სწორად მოიქეციო.

* * *

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ზოოპარკის წიშკართან ბატონი დი-დის ვეება პრიალა ლიმუზინი მოსრიალდა. იქ მას ბიკენტი და მისი მოადგილე კოკა დახვდნენ და სპილოს სადგომისკენ წაუძღვნენ.

სპილო მშვიდად იდგა მისთვის განკუთვნილ, ბადეებით შემოღობილ პატარა მოედანზე და ბადესთან მისულ ელის უყურებდა. ელის გვერდით ბრუნო და ზოოპარკის მოხუცი დარაჯი იდგნენ.

ლიმუზინი გაჩერდა, გადმოვიდა დი-დი და გადმოჰყვა მისი თხუთმეტი წლის ვაჟი – ამაყა.

ორივე მეტისმეტად ჩასუქებულები იყვნენ და ერთნაირი წვრილი თვალეები მათ სახეებს ბოროტ იერს აძლევდა.

დი-დი არავის მისალმებია.

– ჰ-ჰ, დაინყე, – თითი უხეშად მიაშვირა მან ელის.

ელიმ წყენა არ შეიმჩნია.

– რარუ, მაპატიე რომ სხვების თანდასწრებით უნდა გელაპარაკო, მაგრამ ასეა საჭირო, – უთხრა სპილოს.

დი-დიმ ელის ამ სიტყვებზე თვალეები ავად მოჭუტა, მაგრამ არაფერი თქვა.

იქ მყოფთ გადახედა და ბრძანების კილოთი თქვა: – ჰ-ჰ, აბა ვინმემ ჰკითხეთ სპილოს რამე.

ბიკენტიმ და კოკამ ვერ გაბედეს რამე ეთქვათ, მოხუცმა დარაჯმა კი უთხრა ელის:

– ელი, შვილო, ჰკითხე, მთვარიანი ღამე თუ უყვარს რარუს.

ელიმ ჰკითხა, მერე ცოტა ხანს უყურა სპილოს და თქვა:

– კი, ძალიან მიყვარსო.

– ჰ-ჰ, ყველაფერი გასაგებია, – ჩაილაპარაკა ბატონმა დი-დიმ.